1

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №---

2021 წლის --- აგვისტო

ქ. წყალტუბო

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორები“–ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის # 36 126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორები“–ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის # 36 126 განკარგულების პირველი პუნქტით შექმნილი ფრაქცია- „ ქართული ოცნება კონსერვატორები“-ის შემადგენლობა 2021 წლის 16 აგვისტოდან შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ თავმჯდომარე--მიხეილ კაკაბაძე, მოადგილე - ზურაბ ფუთურიძე, წევრი – მურმან შალამბერიძე“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა [signature] მ.ზერაძე

შეთანხმებულია [signature] რ. ნიჟარაძე

3006

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ვიქტორ ნაყდე ახალაძეს
ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს"
თავმჯდომარის მიხეილ ყუფუნიას

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" 2021 წლის 16 აგვისტოს №1 სხდომის ოქმს.

მ. ყუფუნია

17.08.2021წ.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორები“–ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის # 36 126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დადებითი დასკვნის შესაბამისად:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- კონსერვატორები“–ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ“, წყალტუბოის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის # 36 126 განკარგულების პირველი პუნქტით შექმნილი ფრაქცია- „ ქართული ოცნება კონსერვატორები“-ის შემადგენლობა 2021 წლის 16 აგვისტოდან შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ თავმჯდომარე--მიხეილ კაკაბაძე, მოადგილე - ზურაბ ფუთურიძე, წევრი – მურმან შალამბერიძე“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

2097

წერილის ნომერი:**49-49212294**
თარიღი: **17/08/2021**

**ადრესატი:**

რომეო ნიჟარაძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ რომეო ნიჟარაძეს

ბატონო რომეო,

წარმოგიდგენთ **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია**

**„ქართული ოცნება- კონსერვატორები"-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ", წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის # 36 126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ", კომისიის სხდომაზე განსახილველად.**

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

2098

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის

# დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ, 2021 წლის 17 აგვისტოს სხდომაზე განიხილა საკითხი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები"-ს შექმნის, შემადგენლობის, პოლიტიკური პლატფორმისა და წესდების დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N 36 126 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული განკარგულების პროექტი გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2099

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს [illegible]
ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს
თავმჯდომარის მიხეილ ვეკუაძის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს 2021 წლის 16 აგვისტოს №2 სხდომის ოქმს.

მ. ვეკუაძე

17.08.2021წ.

3000

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორები“

ოქმი N 1

ქ. წყალტუბო 16.08.2021 წელი

2021 წლის 16 აგვისტოს შედგა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორების“ სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფრაქციის თავმჯდომარე მიხეილ კაკაბაძე. სხდომას ესწრებოდნენ: წევრები ზურაბ ფუთურიძე და მურმან შალამბერიძე. ფრაქციის თავმჯდომარემ, მიხეილ კაკაბაძემ სხდომას გააცნო შემდეგი დღის წესრიგი:

1. „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს ფრაქციაში მურმან შალამბერიძის გაწევრიანების შესახებ
2. ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორების“-ს თავმჯდომარის სერგო კირკიტაძის განცხადება
3. ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორების“-ს თავმჯდომარის მოადგილის გადადგომის შესახებ
4. ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის არჩევის შესახებ
5. ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული დღის წესრიგი.
კენჭი ეყარა:
მომხრე – 3
წინააღმდეგი – არცერთი
აღნიშნული დღის წესრიგი მიღებულ იქნა ერთხმად.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სხდომის თავმჯდომარემ , მიხეილ კაკაბაძემ წევრებს გააცნო მურმან შალამბერიძის განცხადება ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები"-ს წევრად შემოსვლის თაობაზე

/მ. კაკაბაძემ/

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მურმან შალამბერიძემ სხდომის წევრებს წარუდგინა ცნობა რომლის მიხედვით ის 2021 წლის 16 აგვისტოდან გაწევრიანდა საქართველოს კონსერვატიული პარტიის რიგებში.

კენჭი ეყარა:
მომხრე – 3
წინააღმდეგი – არცერთი

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: მურმან შალამბერიძის ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები"-ს წევრად მიღების შესახებ

2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ კაკაბაძემ წევრებს გააცნო სერგო კირკიტაძის განცხადება ფრაქციის დატოვების თაობაზე

/მ. კაკაბაძე/

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ რაიმე სახის შენიშვნა

კენჭი ეყარა:
მომხრე – 3
წინააღმდეგი – არცერთი

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობად იქნეს მიღებული სერგო კირკიტაძის ფრაქციიდან გასვლა

3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ კაკაბაძემ წევრებს გააცნო შემდეგი საკითხი: ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილის გადადგომის შესახებ

/მ. კაკაბაძე/

ა ზ რ ი   გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ფრაქციის წევრის ზურაბ ფუთურიძის განმარტებით, ფრაქციის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება რომ „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს ფრაქციის თავმჯდომარედ დაინიშნოს მიხეილ კაკაბაძე, რომელიც აქ დრომდე ასრულებდა ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას. შესაბამისად მიხეილ კაკაბაძე ჯერ უნდა გადადგეს ზემოაღნიშნული თანამდებობიდან.

კენჭი ეყარა:
მომხრე – 3
წინააღმდეგი – არცერთი

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ცნობად იქნეს მიღებული „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოადგილის, მიხეილ კაკაბაძის გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ

4. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ კაკაბაძემ წევრებს გააცნო შემდეგი საკითხი: ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები“ს თავმჯდომარის არჩევის შესახებ

/მ. კაკაბაძე/

ა ზ რ ი   გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: ფრაქციის წევრის ზურაბ ფუთურიძის განმარტებით, ფრაქციის წევრებმა, ზურაბ ფუთურიძემ და მურმან შალამბერიძემ მიიღეს გადაწყვეტილება რომ „ქართული ოცნება კონსერვატორები“-ს ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს მიხეილ კაკაბაძე, ამიტომ ფრქციის წევრები აყენებენ მიხეილ კაკაბაძის კანდიდატურას მითითებულ თანამდებობაზე. მიხეილ კაკაბაძემ განაცხადა თანხმობა.

კენჭი ეყარა:
მომხრე – 3
წინააღმდეგი – არცერთი

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** „ქართული ოცნება კონსერვატორები"-ს ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს მიხეილ კაკაბაძე

5. **მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** სხდომის თავმჯდომარემ, მიხეილ კაკაბაძემ წევრებს გააცნო შემდეგი საკითხი: ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორების"-ს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ

**ა ზ რ ი გ ა ნ ე თ ქ ვ ე ს:** ფრაქცია „ქართული ოცნება კონსერვატორები"-ს თავმჯდომარემ მიხეილ კაკაბაძემ, ფრაქციის მოადგილის თანამდებობაზე წევრებს შესთავაზა ზურაბ ფუთურიძის კანდიდატურა.

კენჭი ეყარა:
მომხრე – 3
წინააღმდეგი – არცერთი

**დ ა ა დ გ ი ნ ე ს:** „ქართული ოცნება კონსერვატორები"-ს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე არჩეულ იქნეს ზურაბ ფუთურიძე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე
მიხეილ კაკაბაძე: მ. კაკაბაძე

3004

ბატონ მურმან შალამბერიძეს,
საქართველოს კონსერვატიულ პარტიაში შემოსული თქვენი განცხადების N 03, 16.08.2021. პასუხად გაცნობებთ, რომ გაწევრიანებული ბრძანდებით საქართველოს კონსერვატიული პარტიის რიგებში.

თეიმურაზ წურწუმია - პარტიის აღმასრულებელი მდივანი

3005